

# სპეციალური მმართველი გარემოს დაბინძურების შესახებ შესაჩერებლად

✦ [radiotavisupleba.ge/a/garemos-dabindzureba-chiaturashi/28557153.html](http://radiotavisupleba.ge/a/garemos-dabindzureba-chiaturashi/28557153.html)

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ, სასამართლოს ძალით, კომპანია „ჯორჯიან მანგანეზში“ დანიშნა სპეციალური მმართველი, რომელიც კომპანიას გარემოს დაცვის კუთხით გაუწევს მონიტორინგს. სამინისტრო ამას წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს, თუმცა კიდევ უამრავი კომპანია რჩება, რომელიც გარემოსა და მოსახლეობას ზიანს აყენებს.

სპეციალური მმართველი გარემოს დაბინძურების შესახებ შესაჩერებლად

0:00:00 / 0:03:41

„ჯორჯიან მანგანეზში“ ჭიათურაში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებით არის დაკავებული. ახლად დანიშნულმა სპეციალურმა მმართველმა, ნიკოლოზ ჩიქოვანმა, თავისი გეგმა წარმოადგინა. შეიქმნა ეკოლოგიური სამსახური, რომელიც კომპანიის საქმიანობას მონიტორინგს გაუწევს. შეწყდა გადახსნა-მოპოვებითი სამუშაოები ე.წ. „საშევარდნოს“ კარიერზე. ჩიქოვანის მიერ წარმოდგენილი გეგმა სამ წელზეა გაწერილი და ბევრ ღონისძიებას შეიცავს, მაგალითად: უკვე დაიწყო და პერმანენტულად გაგრძელდება მადნის ტრანსპორტირება ძარაგადახურული ტრანსპორტით; დაიწყებს ფუნქციონირებას სანარმო ლაბორატორია და აღიჭურვება შესაბამისი ინვენტარით; მომზადდება ტყის საკომპენსაციო ღონისძიებები და ასე შემდეგ.

ასეთი სანარმოები, როგორც წესი, არის იმ ადამიანების ხელში, რომელთაც რეალური გავლენა აქვთ ხელისუფლებაზე, ამიტომ შემონიშნები არ არის იმ ღონის, რომ კომპანიას რამე პრობლემა შეუქმნას. რეალური პრობლემის შექმნის შემთხვევა მხოლოდ ეს არის, რაც დღეს „ჯორჯიან მანგანეზს“ სჭირს...

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე მაია ბითაძე ამბობს, რომ დღე არ გავა, ზედამხედველობის სამსახურმა გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებით აქტი არ გამოწეროს, თუმცა, მისივე თქმით, „ჯორჯიან მანგანეზის“ შემთხვევა მაინც განსაკუთრებით მძიმე იყო:

**„ყველაფერს არღვევდა წიაღის მოპოვების ნაწილში. წიაღის მოპოვების ლიცენზია 2006 წელს გაიცა. 2012 წლიდან ყოველ წელს ამონებდნენ და სულ უფრო უარესი მდგომარეობა ხვდებოდათ. რაც შეეხება მადნის გადამამუშავებელი ნებართვის ნაწილს, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, პირობების 100 პროცენტიდან 30-40 პროცენტი შესრულდა, თუმცა ყველაზე მთავარი, შლამსაცავის უსაფრთხოდ ფუნქციონირების საკითხი და სანარმო ციკლის ისე მონესრიგება, რომ გარემო არ დაბინძურებულიყო, კომპანიის მხრიდან შეუსრულებელი დარჩა. და, ასევე, მესამე, ერთ-ერთი ყველაზე მთავარი: ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხანა დღემდე უნებართვოდ ფუნქციონირებს“.**

არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელი ნინო გუჯარაიძე ამბობს, რომ დღემდე არანაკლები პრობლემებია ტყიბულსა და კაბრეთში.

**„ტყიბულში, ქალაქში, ნარჩენების უზარმაზარი გორები დასაწყობებული, რომელსაც პერიოდულად ალი ეკიდება“.**

ნინო გუჯარაიძე ამბობს, რომ სანარმოები ახლა უფრო მეტად მონშდება, ვიდრე რამდენიმე წლის წინ, მაგრამ ეს მაინც ზედამხედველობის შემონიშნებაა. ამის მიზეზად ნინო გუჯარაიძე რესურსების ნაკლებობას

ასახელებს და, ასევე, სახელმწიფო ნების არარსებობას:

**„ასეთი საწარმოები, როგორც წესი, არის იმ ადამიანების ხელში, რომელთაც რეალური გავლენა აქვთ ხელისუფლებაზე, ამიტომ შემონიშნები არ არის იმ დონის, რომ კომპანიას რამე პრობლემა შეუქმნას. რეალური პრობლემის შექმნის შემთხვევა მხოლოდ ეს არის, რაც დღეს „ჯორჯიან მანგანებს“ სჭირს“.**

მაია ბითაძე

მაია ბითაძე, თავის მხრივ, ამბობს, რომ, სამწუხაროდ, კომპანიები მიჩვეულები იყვნენ იმას, რომ დარღვევებზე მათ პასუხს არავინ სთხოვდა:

**„2012 წელს ზედამხედველობის დეპარტამენტი აღვადგინეთ. ყოველწლიურად გეგმიურად ასობით ობიექტს ამოწმებს და ათასობით - არაგეგმიურად, ცხელ ხაზზე შემოსული შეტყობინებების შედეგად. კომპანიების 100 პროცენტი - ხაზს ვუსვამ, 100 პროცენტი - სამართალდამრღვევი აღმოჩნდა. ისინი ნლების განმავლობაში საერთოდ არ იყურებოდნენ სანებართვო და სალიცენზიო პირობებში, ისევე როგორც „ჯორჯიან მანგანები“.**

მისივე თქმით, არც ერთ კომპანიას არ უნდა ჰქონდეს ილუზია, რომ ის ლმობიერი იქნება მათ მიმართ, ვინც გარემოს აბინძურებს.

